საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2456 2019 წლის 28 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, არ გავრცელდეს შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა, რომ „სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 27 01 02 01) ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განსაზღვროს არა უმეტეს 61 ერთეულით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვროს, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებასთან/განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №487 დადგენილებიდან გამომდინარე, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის 11 ერთეულით შემცირების გათვალისწინებით.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის №56 და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – წამლის სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის №60 განკარგულებები.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**